

შპს „ვივა ჯგუფი“

ს/კ 200273453

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

სარჩევი:

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7,383	22,338	40,097
არამატერიალური აქტივები	2,126	2,899	3,672
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	-	474,275	474,275
	9,509	499,512	518,044
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	150,292	124,789	51,015
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,946,915	2,125,889	1,430,898
მარაგები	1,395,368	866,433	678,230
	4,492,575	3,117,111	2,160,143
მთლიანი აქტივები	4,502,084	3,616,623	2,678,187
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	171,022	-456,475	-461,542
გადაფასების რეზერვი	-	-	-
	171,022	-456,475	-461,542
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	1,003,812	-
	0	1,003,812	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	-	0	1,003,812
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,331,062	2,985,957	2,135,917
საგადასახადო ვალდებულებები	-	83,329	-
	4,331,062	3,069,286	3,139,729
მთლიანი ვალდებულებები	4,331,062	4,073,098	3,139,729
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	4,502,084	3,616,623	2,678,187

დირექტორი:

7.



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
ამონაგები	29,500,676	24,160,007	13,927,818
თვითღირებულება	(29,294,075)	(23,880,890)	(13,819,277)
საერთო მოგება	206,601	279,117	108,541
სხვა შემოსავლები	466,088	32,024	23,636
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(206,380)	(193,744)	(203,693)
მიწოდების დანახარჯები	(15,106)	(16,190)	(2,108)
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	292,566	(52,563)	(104,377)
სხვა ხარჯები	(120,218)	(44,334)	-
საოპერაციო მოგება	623,551	4,310	(178,001)
ფინანსური შემოსავალი	3,946	757	1,971
ფინანსური ხარჯი	-	-	(3,396)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	3,946	757	(1,425)
მოგება დაბეგვრამდე	627,497	5,067	(179,426)
მოგების გადასახადი	-	-	(16,495)
პერიოდის მოგება	627,497	5,067	(195,921)
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	627,497	5,067	(195,921)

დირექტორი:



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(172,147)	(172,147)
მოგება წლის ბოლოს			(195,921)	(195,921)
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(195,921)	(195,921)
გაცემული დივიდენდი			(93,474)	(93,474)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(461,542)	(461,542)
მოგება წლის ბოლოს			5,067	5,067
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	5,067	5,067
გაცემული დივიდენდი			-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	(456,475)	(456,475)
მოგება წლის ბოლოს			627,497	627,497
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	627,497	627,497
გაცემული დივიდენდი			-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	171,022	171,022

დირექტორი:



ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
- კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	26,991,917	25,053,090	12,840,510
- მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე საქვეანგარიშო გაცემულ ფულადი სახსრები	(26,686,074)	(24,606,036)	(12,385,264)
- ხელფასი და ფ/პ მომსახურება	(138,575)	(119,906)	(120,369)
- სხვა ხარჯები	(8,454)	(14,187)	(9,267)
- სხვა შემოსავლები			
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	158,814	312,961	325,610
გადახდილი პროცენტი	-	-	(140,657)
საბიუჯეტო გადასახდელები	(127,168)	(217,438)	(129,347)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31,646	95,523	55,606
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-	-
- ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-	-
- მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
- მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-	-
- მიღებული დივიდენდი	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- გაცემული დივიდენდი	-	-	(88,800)
- გაცემული სესხი	-	-	-
- მიღებული ფულადი სახსრები გაცემულის სესხის დასაფარად	-	-	581,823
- კაპიტალის ცვლილება	-	-	-
- სესხის აღება	-	-	-
- გასავალი აღებული სესხის დასაფარად	-	-	(639,000)
- მიღებული პროცენტი	3,946	757	100,675
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,946	757	(45,302)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	35,592	96,280	10,304
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	124,789	51,015	30,810
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(10,089)	(22,506)	9,901
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	150,292	124,789	51,015

დირექტორი:

7.



შპს ვივა ჯგუფი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვივა ჯგუფი არის 19/06/2009 წელს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის მისამართი არის ლაგურაშვილის ქ., №6, ბ. №6.

მისი ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო სახარჯი მასალით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. კომპანიის მმართველებსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა და გაზარდონ კომპანიის მოგება, შესაბამისად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

3. წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და ქართული ეროვნული ვალუტა - ლარი, საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება სავაჭრო ფასდათმობები, კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები და დღგ. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
 - კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
 - შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
 - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.2 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მიერ საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიღებული მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა მოხდებოდა თუ არა დივიდენდად მისი განაწილება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანზაქციები, რომელიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივის სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობება-ნაგებობები: 50 წელი

მანქანა-დანადგარები: 8-15 წელი

მოწყობილობები და აპარატურა: 8-15 წელი

საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი: 3-8 წელი

სატრანსპორტო საშუალებები: 7-15 წელი.

სხვა: 3-8 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.4 არამატერიალური აქტივი

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპანიის ბუღალტრული პროგრამა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.5 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო მატერიალური ფასეულობის შემთხვევაში გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

4.6 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის აკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო/ჩვეულებრივ იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღირდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მნიშვნელოვანი საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული შენახვის და მოვლა/პატრონობის ხარჯები აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს.

4.8 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

4.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

4.10 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

4.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას გააჩნია იურიდიული ვალდებულება გადაიხადოს საპენსიო შენატანები.

4.13 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

4.14 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

5. ძირითადი საშუალებები	
	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა
31 დეკემბერი 2019	57,933
შემოსვლა (2020წ)	-
გადაფასება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
პერიოდის ცვთა (2020წ)	(17,836)
გაუფასურება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
31 დეკემბერი 2020	40,097
შემოსვლა (2021წ)	-
გადაფასება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
პერიოდის ცვთა (2021წ)	(17,759)
გაუფასურება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
31 დეკემბერი 2021	22,338
შემოსვლა (2022წ)	-
გადაფასება (2022წ)	-
გასვლა (2022წ)	-
პერიოდის ცვთა (2022წ)	(14,955)
გაუფასურება (2022წ)	-
გასვლა (2022წ)	-
31 დეკემბერი 2022	7,383
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	57,933
31 დეკემბერი 2020	40,097
31 დეკემბერი 2021	22,338
31 დეკემბერი 2022	7,383

6. არამატერიალური აქტივები	
	აპლიკაცია
31 დეკემბერი 2019	4,445
შემოსვლა (2020წ)	-
გადაფასება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
პერიოდის ცვლათა (2020წ)	(773)
გაუფასურება (2020წ)	0
გასვლა (2020წ)	-
31 დეკემბერი 2020	3,672
შემოსვლა (2021წ)	-
გადაფასება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
პერიოდის ცვლათა (2021წ)	(773)
გაუფასურება (2021წ)	0
გასვლა (2021წ)	-
31 დეკემბერი 2021	2,899
შემოსვლა (2022წ)	-
გადაფასება (2022წ)	-
გასვლა (2022წ)	-
პერიოდის ცვლათა (2022წ)	(773)
გაუფასურება (2022წ)	0
გასვლა (2022წ)	-
31 დეკემბერი 2022	2,126
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	4,445
31 დეკემბერი 2020	3,672
31 დეკემბერი 2021	2,899
31 დეკემბერი 2022	2,126

7. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	
	2022
ნაღდი ფული სალაროში	-
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	150,292
სულ	150,292

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	
	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	2,668,963
გადახდილი ავანსები	268,703
ზედმეტობა საბიუჯეტო გადასახადებში	9,249
სულ	2,946,915

9. მარაგები	
	2022
გადასაყიდად შეძენილი სამედიცინო სახარჯი/მასალა	1,395,368
სულ	1,395,368

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	
	2022
სავაჭრო ვალდებულებები	4,233,424
მიღებული ავანსები	97,638
სულ	4,331,062

11. ამონაგები	
	2022
საქონლის გაყიდვა	29,500,676
სულ	29,500,676

12. სხვა შემოსავალი	
	2022
უსასყიდლოდ მიღებული პროდუქცია	39,828
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა	426,260
სულ	466,088

13. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	
	2022
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	292,566
სულ	292,566

14. სხვა ხარჯები	
	2022
გაუფასურებული სასაქონლო-მატერიალური მარაგი	120,068
ჯარიმები და პირგასამტეხლოები	150
სულ	120,218

15. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები	
ფინანსური დანახარჯები	2022
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-
სულ ფინანსური დანახარჯები	-
ფინანსური შემოსავალი	
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	3,946
სულ ფინანსური შემოსავალი	3,946
ნეტო ფინანსური დანახარჯები	3,946

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

7.

